დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 3 ნოემბერი**

დისციპლინური საქმეები №185/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 17 ოქტომბრის №185 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის №606/185-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ არ აიცილა საქმე. ამასთან, აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარის ოჯახის წევრი წარმოადგენს -- -- აღმასრულებელ მენეჯმენტს, სადაც მოსამართლეს აქვს ფინანსური ვალდებულებები.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ გააჭიანურა საქმის განხილვა.

1.3. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. ამასთან, აცხადებს, რომ მოსამართლემ:

- მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი მხარეს დააკისრა სახელმწიფო ბაჟი მაქსიმალური ოდენობით;
- არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მოპასუხის მიმართ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ;
- არ გამოითხოვა მტკიცებულებები და საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2023 წლის 2 მარტს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, ზიანის (კომპენსაციის) და იძულებით განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

2023 წლის 20 მარტს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2023 წლის 11 მაისს, 12 სექტემბერს და 10 ოქტომბერს.

2023 წლის 11 მაისს სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემისა და საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

2023 წლის 3 ივლისს მედიატორ - -- -- წერილის თანახმად, მოსარჩელე მხარემ უარი განაცხადა მედიაციის პროცესის გაგრძელებაზე, ამდენად, მედიაციის საქმის წარმოება შეწყდა.

2023 წლის 11 აგვისტოს საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

2023 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში. 16 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება დაზუსტებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2023 წლის 5 სექტემბერს საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2023 წლის 10 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად,

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა არ წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ არ გამოითხოვა მტკიცებულებები და საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. აღნიშნული კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ გარემოებებზე მსჯელობა მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ამასთან, მოსარჩელე აცხადებს, რომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მოპასუხის მიმართ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^{1} მუხლი დეტალურად განსაზღვრავს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. კერძოდ, მოპასუხის მიერ მითითებული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს. ამდენად, მოსამართლე უფლებამოსილია მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ არ მოხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენება და ნების გამოვლენა. მოცემულ საქმეზე მოპასუხემ წარადგინა სასამართლოში შესაგებელი. მართალია, მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი არ იყო მხარის მიერ ხელმოწერილი, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შესაგებელთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმპერატიულად არ ადგენს მოპასუხის მხრიდან ხელმოწერის აუცილებლობას, ამდენად, ვინაიდან

მხარემ წარადგინა შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში, სახეზე არ იყო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი მოსამართლემ მხარეს დააკისრა სახელმწიფო ბაჟი მაქსიმალური ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამასთან, მითითებული კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი დეტალურად განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის ოდენობას, მისი გამოანგარიშების წესსა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. კერძოდ, მითითებული კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. საგულისხმოა, რომ განსახილველ საქმეზე მხარის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა. რაც მითითებული კანონის თანახმად, არ წარმოადგენს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის განცხადებას, იმის შესახებ, რომ მოსამართლემ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- 2023 წლის 17 ოქტომბრის №185 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3 პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №185/23 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 და 1.2 პუნქტები).

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი